



საქართველოს
საზოგადოებრივი
ჯანდაცვის
ცენტრი

ბავშვთა დაცვა კორონავირუსის პანდემიის პერიოდში

ბავშვთა დაცვის რისკები



წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია
ორგანიზაცია „ალიანსი ჰუმანიტარული აქციების დროს ბავშვთა დაცვისთვის“ მიერ შემუშავებული
„სახელმძღვანელო მითითებები: ბავშვთა დაცვა ინფექციური დაავადებების ეპიდემიის დროს“ მიხედვით

ბავშვთა დაცვა კორონავირუსის პანდემიის პერიოდში

ბავშვთა დაცვის რისკები

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია ორგანიზაცია „ალიანსი ჰუმანიტარული აქციების დროს ბავშვთა დაცვისთვის“ მიერ შემუშავებული „სახელმძღვანელო მითითებები: ბავშვთა დაცვა ინფექციური დაავადებების ეპიდემიის დროს“ მიხედვით¹.

ინფექციურმა დაავადებამ, როგორცაა COVID-19, შეიძლება ჩამოშალოს გარემო, რომელშიც ბავშვები იზრდებიან და ვითარდებიან. ფართო საზოგადოებაში და ოჯახებში ჩვეული ცხოვრების, მეგობრობის, არსებული ყოველდღიური დღის განრიგის დარღვევას შეიძლება უარყოფითი შედეგები მოჰყვეს ბავშვების კეთილდღეობის, განვითარებისა და დაცვის მხრივ.

გარდა ამისა, COVID-19-ის გავრცელების თავიდან ასაცილებლად და გაკონტროლების მიზნით გამოყენებულმა ზომებმა შეიძლება ბავშვების დაუცველების რისკები გამოავლინოს. დაავადების გავრცელების და შეჩერებისთვის: სახლში იზოლაციამ და ზოგადად, საკარანტინო ზომებმა შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ბავშვებზე და მათ ოჯახებზე.

1. ბავშვთა დაცვა კორონავირუსის კონტექსტში

კორონავირუსმა - COVID-19-მა, შეიძლება სწრაფად შეცვალოს გარემო, რომელშიც ბავშვები ცხოვრობენ. საკარანტინო ღონისძიებები, როგორცაა სკოლის დახურვა და გადაადგილების შეზღუდვა აფერხებს ბავშვების რუტინულ და სოციალურ მხარდაჭერას. ასევე, მშობლებისთვის და აღმზრდელებისთვის ქმნის ახალ გარემოებებს - დისტრეს ფაქტორებს, როგორც შესაძლოა იყოს ბავშვზე ზრუნვის ახალი ვარიანტების მოძიება ან სამსახურზე უარის თქმა.

სტიგმამ და დისკრიმინაციამ, რომლიც COVID-19-თან არის დაკავშირებული, შესაძლოა ბავშვები უფრო დაუცველები გახადოს ძალადობის და ფსიქო-სოციალური დისტრესის მიმართ.

დაავადებათა კონტროლის ზომებმა, რომლებიც არ ითვალისწინებს, ქალებისა და გოგონების, გენდერულ-სპეციფიკურ საჭიროებებს და დაუცველობას, შეიძლება

¹ Guidance Note: Protection of Children During Infectious Outbreaks, Alliance for Child Protection in Humanitarian Action, 2018


<https://resourcecentre.savethechildren.net/library/guidance-note-protection-children-during-infectious-outbreaks>

გაზარდოს მათი დაუცველობის რისკები და გადარჩენის უარყოფითი მექანიზმების გამოყენებამდე მიგვიყვანოს.

განსაკუთრებული რისკის ქვეშ არიან ბავშვები და ოჯახები, რომლებიც ისედაც მოწყვლადები არიან სოციალურ-ეკონომიკური შეჭირვების ან მჭიდროდ დასახლებულ გარემოში ცხოვრების გამო.

წარმოდგენილი მოკლე აღწერილობის მიზანია ბავშვთან მომუშავე პრაქტიკოსების დახმარება, COVID-19-ის პანდემიის პერიოდში, ბავშვთა დაცვის რისკებზე დროული რეაგირების განსახორციელებლად.

1.1. COVID-19 სოციო - ეკოლოგიური შედეგები



1.2. ბავშვთა დაცვის რისკები

ქვემოთ ჩამოთვლილი ბავშვთა დაცვის ზოგიერთი რისკი შეინიშნება მიმდინარე COVID-19 პანდემიის პირობებში, ზოგიერთი პოტენციური რისკები კი წინა ინფექციური დაავადებების აფეთქების დროს იქნა დაფიქსირებული.

COVID-19-ის დროს არსებული რისკები და კონტროლის ზომები	რისკების მიზეზები
ბავშვთა დაცვის რისკი: ფიზიკური და ემოციური ძალადობა	
<ul style="list-style-type: none"> • ბავშვზე ზედამხედველობის შემცირება და უგულებელყოფა • ბავშვზე ძალადობის და ოჯახში / პიროვნებათა შორის ძალადობის გაზრდა • ბავშვთა ტრავმების რისკები, მოწამვლა და სხვა საფრთხეები 	<ul style="list-style-type: none"> • ბავშვზე ზრუნვის დაწესებულებების/ სკოლების დახურვა; მშობელი/მზრუნველი აგრძელებს მუშაობას; ავადმყოფობა, მშობელი/ მზრუნველი კარანტინში იმყოფება • ფსიქო - სოციალური სტრესის გაზრდა მშობელსა/მზრუნველსა და საზოგადოების წევრებში • ალკოჰოლის და ტოქსიკური სადუზინფექციო საშუალებების ხელმისაწვდომობა და ბოროტად გამოყენება • ბავშვთა დაცვის სამსახურებზე ხელმისაწვდომობის და შემთხვევების შეტყობინებების გაკეთების მხრივ სირთულეების/დაბრკოლებები ზრდა

ბავშვთა დაცვის რისკი: გენდერული ძალადობა (GBV)

<ul style="list-style-type: none"> • სექსუალური ექსპლოატაციის რისკის გაზრდა, მათ შორის სექსი დახმარებისთვის, კომერციული სექსუალური ექსპლოატაცია ბავშვებში და იძულებითი ადრეული ქორწინება • ბავშვთა დაცვის სამსახურებზე ხელმისაწვდომობის არარსებობა ან გადატვირთვა 	<ul style="list-style-type: none"> • ბავშვის ოჯახების დაცულობის შემცირება • ოჯახების შემოსავლების შემცირება/ან უცხოებზე დამოკიდებულება თემში საქონლის ტრანსპორტირებასა და მომსახურებაზე • გენდერული ნიშნით გოგონების პასუხისმგებლობა ოჯახში საქმიანობებზე მაგ. ოჯახის წევრებზე ზრუნვა და სხვა საქმიანობები • დაბრკოლებების გაზრდა შემთხვევების შეტყობინებების გასაკეთებლად და სამედიცინო დახმარების და მკურნალობის მოსაძიებლად
---	--

ბავშვთა დაცვის რისკი: ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქო- სოციალური დისტრესი

<ul style="list-style-type: none"> • დისტრესი გამოწვეული ბავშვებში საყვარელი ადამიანის გარდაცვალებით, ავადმყოფობით ან განშორებით, ან ავადობის შიშით • არსებული ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება • ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების არარსებობა ან გადატვირთვა 	<ul style="list-style-type: none"> • სტრესის დონის გაზრდა სამკურნალო დაწესებულებაში იზოლაციის ან შიდა კარანტინის გამო • ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვებს და მშობელს/მზრუნველს არ აქვთ წვდომა მხარდაჭერასა და პროცედურებზე საკარანტინე ზომებმა შეიძლება შიში და პანიკა გამოიწვიოს საზოგადოებაში, განსაკუთრებით ბავშვებში, თუ მათ არ ესმით, რა ხდება
--	---

ბავშვთა დაცვის რისკი: ბავშვთა შრომა

- ბავშვების ჩართულობის გაზრდა საშიშ ან შრომით ექსპლუატაციაში

- ოჯახის შემოსავლის დაკარგვა ან შემცირება
- სკოლის დახურვის გამო მუშაობის შესაძლებლობა

ბავშვთა დაცვის რისკი: ბავშვები მეთვალყურეობის გარეშე ან განცალკევებული

- განცალკევებული ბავშვები მეთვალყურეობის გარეშე ან ოჯახის უფროსი ბავშვი
- ინსტიტუციაში განთავსებული ბავშვი

- მშობლის/მზრუნველის დაკარგვა ავადმყოფობის გამო
- მზრუნველების ბავშვებისგან იზოლაცია/კარანტინი
- მშობლის მიერ ბავშვების გაგზავნა უსაფრთხო გარემოში

ბავშვთა დაცვის რისკი: სოციალური გარიყულობა

- სოციალური სტიგმატიზაცია ინფიცირებული ინდივიდების ან სავარაუდოდ ინფიცირებული ინდივიდების/ჯგუფების
- ქუჩაში მცხოვრები/მომუშავე ბავშვების და სხვა რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების გაზრდილი რისკი/ ლიმიტირებული დაცვა

- სავარაუდოდ ინფიცირებული პირების სოციალური და რასობრივი დისკრიმინაცია
- არათანაზომიერი ზეგავლენა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებსა და მარგინალიზებულ ჯგუფებზე
- ძირითადი სერვისების დახურულია/ მიუწვდომელია დაუცველი ბავშვებისა და/ან ოჯახებისთვის
- დაბადების რეგისტრაციის პროცესის შეფერხება კარანტინის გამო

2. ბავშვთა დაცვის სტრუქტურის პასუხი

მთავრობასთან ადვოკატირება, სხვა სექტორებთან თანამშრომლობა და ბავშვთა დაცვის სპეციფიკური პროგრამირება COVID-19 – ის პასუხის დროს მთავარი პრიორიტეტებია.

2.1 სხვადასხვა სექტორებსა და მთავრობასთან ერთად მუშაობა

ინფექციური დაავადებების გავრცელების პრევენციისა და მათზე რეაგირებისთვის საჭიროა რამდენიმე სექტორს შორის მჭიდრო კოორდინაცია და თანამშრომლობა.

მულტისექტორული რეაგირება (ა) უზრუნველყოფს ბავშვებისა და მზრუნველების საჭიროებების სრულფასოვნად მოგვარებას და (ბ) მივყავართ ბავშვებისთვის უკეთეს შედეგამდე.

მულტისექტორულ მიდგომისთვის პრიორიტეტული უნდა იყოს:

- სტანდარტული პროტოკოლები ბავშვთა საქმეების დოკუმენტაციისა და გადამისამართებისთვის, რომელთაც შეიძლება დასჭირდეთ დამატებითი დანმარება.
- მკაფიოდ გაწერილი პროტოკოლები, რათა თავიდან ავიცილოთ/შევამციროთ ოჯახის დაყოფა/დამორება და სხვა ბავშვთა დაცვის რისკები.
- შეამციროს სტიგმა და სოციალური გარიყვა, რაც შეიძლება გამოწვეული იქნას დაავადების გამო.
- ბავშვთა რისკებისა და მოწყვლადობის შესახებ მკაფიო, კოორდინირებული, ბავშვზე მორგებული შეტყობინებების გავრცელება პანდემიის დროს.

მთავრობასთან მუშაობისას, ბავშვთა დაცვის მუშაკებმა უნდა გაატარონ COVID-19–ის შესახებ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციები, რომლებიც დაფუძნებული იქნება ადამიანის უფლებებზე, იქნება არადისკრიმინაციული და პროპორციული.

ქვემოთ მოცემულია პრიორიტეტული მოქმედებები სხვადასხვა სექტორებსა და მთავრობას შორის მუშაობისთვის, რათა მოხდეს ბავშვების დაცვა მათზე მორგებული მგრძნობიარე მიდგომით.

ჯანმრთელობა

დაუცველი ბავშვებისა და მათი ოჯახების სამედიცინო მომსახურებაზე უფასო ხელმისაწვდომობის შესახებ ადვოკატირება (თუ ეს არ არის უნივერსალური).

- თანამშრომლობა, რათა მოხდეს ბავშვთა დაცვის პრობლემების შეტანა ჯანდაცვის სექტორის შეფასებისა და მონიტორინგის ინსტრუმენტებში.
- საერთო სტანდარტული პროცედურების შემუშავება ბავშვთა შემთხვევების დოკუმენტაციისა და მითითების თაობაზე CP და ჯანდაცვის სამსახურს შორის, რათა განცალკევების/დამორების შემთხვევაში ბავშვებმა მიიღონ უსაფრთხო, შესაფერისი, ოჯახზე დაფუძნებული ზრუნვა.
- ადვოკატირება გაუწიეთ ბავშვის მკაფიო და კომფორტული მიღებისა და გაწერის პროცედურას, რათა ხელი შეუწყოს ოჯახის ერთიანობას და დამორების/განცალკევების რისკს შემცირებას.
- ხელი შეუწყვეთ უსაფრთხო და რეგულარულ კომუნიკაციას ბავშვებსა და მშობლებს / აღმზრდელებს შორის, რომლებიც დროებით არიან დამორებულნი.
- ითანამშრომლეთ, რათა უზრუნველყოთ ბავშვზე მორგებული მიდგომით სამედიცინო დახმარებასთან წვდომა. ასევე მკურნალობის და საკარანტინო პერიოდის დროს უზრუნველყავით, სამედიცინო პერსონალის ინფორმირება ბავშვზე მეგობრული კომუნიკაციის შესახებ და გაატარეთ სპეციალური ზომები ბავშვთა ფსიქო - სოციალური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.
- მხარი დაუჭირეთ ბავშვთა დაცვის ტრენინგებს ჯანდაცვის მუშაკებისთვის (განსაკუთრებით იქ, სადაც ბავშვები გამოყოფილნი/დამორებულნი არიან ოჯახებიდან ან მზრუნველებისგან).
- სამედიცინო დაწესებულებებში, დააფუძნეთ უსაფრთხო, ბავშვზე მორგებული საჩივრებისა და უკუკავშირების მექანიზმი.
- გააძლიერეთ ცოდნა და უნარები, გაუპატიურების კლინიკური მენეჯმენტის შესახებ და უზრუნველყავით მინიმალური მარაგის ხელმისაწვდომობა ცენტრალურ სამედიცინო დაწესებულებებში, რათა სათანადო რეაგირება მოხდეს სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე.
- ითანამშრომლეთ ფსიქიკური ჯანმრთელობის და ფსიქო-სოციალური დახმარების ცენტრებთან, რათა უზრუნველყოთ შესაბამისი დახმარება COVID-19-ით დაზარალებული ბავშვებისა და მათი მზრუნველებისთვის.

- COVID-19–ის აფეთქების შემთხვევაში, საგანგებო მდგომარეობის გეგმაში ჩართეთ ბავშვთა დაცვის საკითხები.
- დარწმუნდით, რომ ინფორმაციის, განათლებისა და კომუნიკაციის მასალები, მათ შორის არსებული მომსახურების შესახებ ინფორმაცია, წარმოდგენილია შემცირებული ტექსტით ბავშვებისთვის გასაგებ ენაზე.

დაბანა/ჰიგიენა

დარწმუნდით, რომ იმ ადგილებში, სადაც შესაძლოა ბავშვები მოხვდნენ, ყველგან იყოს განთავსებული ბავშვებისთვის შესაფერისი ხელის დასაბანი საშუალებები, მაგალითად: სამედიცინო დაწესებულებებში, სკოლებში, ბავშვთა ზრუნვის ცენტრებში, ალტერნატიულ ზრუნვის ცენტრებში და ა.შ.

- ითანამშრომლეთ, რომ უზრუნველყოთ უსაფრთხო, ბავშვზე მორგებული ჰიგიენის ნორმების გავრცელების ხელშეწყობა დაავადების გავრცელებამდე და გავრცელების დროს. მათ შორის, პლაკატების და ინფო გრაფიკების შემუშავება, რომელიც მიმართული იქნება ბავშვებზე, მშობლებზე/ზრუნველებზე და მასწავლებლებზე.
- ითანამშრომლეთ უსაფრთხოების სამსახურებთან, რათა საჭიროების შემთხვევაში შეაფასოთ შემთხვევა და გადაამისამართოთ შესაბამის სამსახურებში.

კვება

დარწმუნდით, რომ ბავშვებს და ოჯახებს, რომლებიც იმყოფებიან კარანტინში, თვითიზოლაციაში ან ჯანდაცვის დაწესებულებებში, აქვთ სათანადო კვება.

- ითანამშრომლეთ კვების სამსახურებთან, რათა მოხდეს შეფასება და საჭიროების შემთხვევაში გადაამისამართება შესაბამის სამსახურებში.

განათლება

შეზღუდეთ სკოლის შეფერხების გავლენა ბავშვზე დისტანციური სწავლების მეთოდების გამოყენებით, როგორცაა ტელევიზია, რადიო ან ონლაინ სწავლება.

- იმ მშობლებს/მზრუნველებს, რომელთაც ფინანსური პრობლემების გამო დაკარგეს ბავშვზე ზრუნვის უფლება, გაუწიეთ ადვოკატირება მთავრობასთან და კერძო დამსაქმებელთან მოქნილ სამუშაო პირობების შესახებ.
- იმუშავეთ სკოლებთან, რომ უზრუნველყონ დაცვისა და უსაფრთხოების შესახებ შეტყობინებების მიწოდება მშობლებისა და ბავშვებისთვის, რათა შემცირდეს პანიკა და დისტრესი, შენარჩუნდეს სიმშვიდე და ხელი შეეწყოს ჯანმრთელობის რეკომენდაციების დაცვას.
- მასწავლებლებსა და სკოლის სხვა პერსონალს გაუღრმავეთ ცოდნა დისტრესის ნიშნების ამოცნობის შესახებ, რათა მათ საჭიროების შემთხვევაში შეძლონ იდენტიფიცირება და შესაბამის სერვისში გადამისამართება იმ ბავშვებისა, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ სპეციფიკური საჭიროებები.
- დარწმუნდით, რომ მასწავლებლებს და მოხალისეებს აქვთ შესაბამისი ცოდნა და უნარები გენდერული ძალადობის რისკების შესამცირებლად, სექსუალური ექსპლუატაციისა და ბოროტად მოპყრობის პრევენციისთვის, ბავშვის დაცვისა და უსაფრთხო რეფერალური პრაქტიკის განსახორციელებლად.
- მხარი დაუჭირეთ, ბავშვზე მორგებული საჩივრებისა და უკუკავშირის მექანიზმის შემუშავებას სკოლებში და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში.
- შეიმუშავეთ, გაავრცელეთ ან აჩვენეთ შეტყობინებები ბავშვთა დაცვისა და არსებული სერვისების შესახებ, მათ შორის შემთხვევის მართვის, ოჯახის მოძიების და გაერთიანების შესახებ.
- იმუშავეთ განათლების წარმომადგენლებთან ერთად სკოლებში სტიგმასა და სოციალურ გარიყვასთან დაკავშირებით.

2.2 ბავშვთა დაცვის სპეციფიკური პროგრამები COVID-19-ის პანდემიის დროს

COVID-19-ის პანდემიის დროს რისკების შემსუბუქების გარდა ჩვენ უნდა გავაუმჯობესოთ თემის, ოჯახის, მზრუნველების და ბავშვების პრობლემებთან გამკლავების ძლიერი და დადებითი მექანიზმები.

ბავშვთა დაცვის პრიორიტეტული მოქმედებები	
მზადყოფნის ქმედებები	საპასუხო ქმედებები
ბავშვთა დაცვის სტრატეგია: ინდივიდუალური და ჯგუფური აქტივობები ბავშვის კეთილდღეობისთვის	
<ul style="list-style-type: none"> • სხვა სტრუქტურებთან კონსულტაციისას, იდენტიფიცირება გაუკეთეთ ალტერნატიული ფსიქიკური და ფსიქო-სოციალურ დახმარებას და საგანმანათლებლო საქმიანობას ბავშვებისთვის. • ინტერვენციების დასაგეგმად, ჩაატარეთ კონსულტაცია ბავშვებთან და მოზარდებთან. 	<ul style="list-style-type: none"> • მოამზადეთ ჯანმრთელობის, განათლების, ბავშვთა მომსახურების, ფსიქიკური და ფსიქო-სოციალური დახმარების პერსონალი COVID-19-თან დაკავშირებული ბავშვთა დაცვის რისკების შესახებ. • იდენტიფიცირება გაუკეთეთ ბავშვებისთვის ფსიქო-სოციალური დახმარების გაწევის სტრატეგიებს, განსაკუთრებით კარანტინში მყოფი პირებისთვის. • აწარმოეთ დისტანციური ცნობიერების ამაღლების კამპანიები, რომელიც იქნება ასაკის და გენდერის შესაბამისი. • შეცვალეთ/მოარგეთ სიტუაციას არსებული რეფერირების გზები.
ბავშვთა დაცვის პრიორიტეტული მოქმედებები	
მზადყოფნის ქმედებები	საპასუხო ქმედებები
ბავშვთა დაცვის სტრატეგია: ოჯახისა და აღმზრდელობითი გარემოს გაძლიერება	
<ul style="list-style-type: none"> • იმუშავეთ ბავშვებთან, აღმზრდელებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, რათა გაეცნონ კულტურული თავისებურებებს, რამაც შეიძლება დაიცვას ან საფრთხე შეუქმნას ბავშვებს ვირუსის დროს. 	<ul style="list-style-type: none"> • მიზნობრივი დახმარება გაუწიეთ დროებითი მოვლის ცენტრებსა და მიმღებ ოჯახებს, რათა ემოციურად დაეხმარონ ბავშვებს და ჩაერთონ შესაბამის თვითდახმარების აქტივობებში.

<ul style="list-style-type: none"> • განსაზღვრეთ ცნობიერების ამაღლების შესაძლებლობები, რათა უფრო მკაფიო გახდეს მშობელი-შვილის ურთიერთობის მნიშვნელობა. • შეიმუშავეთ უწყებათაშორისი გეგმა შესაბამის ორგანოებთან თანამშრომლობით, რათა გააძლიეროთ მოწყვლად ბავშვებზე ზრუნვა. 	<ul style="list-style-type: none"> • გაუწიეთ ფინანსური და მატერიალური დახმარება ოჯახებს, რომელთა შემოსავალს პრობლემა შეუქმნა არსებულმა მდგომარეობამ. • წაახალისეთ და შექმენით უსაფრთხო შესაძლებლობები, რათა ხელი შეუწყოთ რუტინულ კონტაქტს ბავშვებსა და ოჯახის წევრებს შორის, რომლებიც არიან. • განცალკევებულნი/ დაშორებულნი. • იმუშავეთ სხვა სტრუქტურების წარმომადგენლებთან, მათ შორის მთავრობასთან, რათა გატარდეს ზომები ბავშვისა და ოჯახის განცალკევების თავიდან ასაცილებლად.
---	---

ბავშვთა დაცვის სტრატეგია: საზოგადოებრივი მიდგომა

<ul style="list-style-type: none"> • დაადგინეთ რა როლი შეიძლება ჰქონდეს თემს ცნობიერების ამაღლებაში და ბავშვებისა და ოჯახების დაცვაში. • იმუშავეთ თემთან, რათა მოხდეს მოწყვლადი ჯგუფების დასაცავად სტრატეგიების შემუშავება (მაგ., დევნილები, ალტერნატიული ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვები, სტიგმატიზაციის და სოციალური გარიყვის რისკის ქვეშ მყოფი პირები). 	<ul style="list-style-type: none"> • იმუშავეთ საზოგადოების წევრებთან, რათა შეიმუშაონ ბავშვზე მეგობრული შეტყობინებები COVID-19– ის რისკებისა და რეფერალური გზების შესახებ. • მოიძიეთ/განსაზღვრეთ მოქნილი სტრატეგიები, რათა შეძლოთ თემთან დისტანციურად კომუნიკაცია. • თემთან ერთად, განახორციელეთ ღონისძიებები სტიგმატიზაციის შესამცირებლად, დაძლევის უსაფრთხო მექანიზმების დასანერგად და დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად • საჭიროების შემთხვევაში იმუშავეთ ტრადიციულ და რელიგიურ ლიდერებთან ტრადიციული პრაქტიკის ადაპტირებისთვის, (ე.ი. მილოცვები, სამარხი და დაკრძალვის ცერემონიები და ა.შ.)
--	---

ბავშვთა დაცვის სტრატეგია: შემთხვევის მართვა

<ul style="list-style-type: none"> • უზრუნველყავით COVID-19– ის შესახებ ტრენინგები და საჭირო დახმარება სოციალური მუშაკებისა და ბავშვთა დახმარების ცხელი ხაზებისთვის. ასევე გაავრცელეთ ინფორმაცია ბავშვთა დახმარებისა და დამხმარე სერვისების შესახებ არსებული ძირითადი ფაქტებისა და მითების შესახებ. • ჯანდაცვის წარმომადგენლებთან ერთად იმუშავეთ სტრატეგიების შემუშავებაზე, რომელიც მიმართული იქნება მარგინალიზებულ და ძნელად მისაღწევ ბავშვებზე. • სოციალური მუშაკებისთვის შეიმუშავეთ რისკების შემამსუბუქებელი ღონისძიებები და საშინაო ვიზიტების ალტერნატიული მეთოდები. • ხელი შეუწყვეთ სპეციალიზირებულ მომსახურებებს, მათ შორის გენდერული ძალადობის სერვისებს. 	<ul style="list-style-type: none"> • გადახედეთ ან შეიმუშავეთ სტანდარტული საოპერაციო პროცედურები ჯანდაცვის სფეროსთან და სხვა სამსახურებთან ერთად, რათა უზრუნველყოთ რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების უსაფრთხო იდენტიფიკაცია და რეფერირება. • შექმენით მექანიზმები იმის უზრუნველსაყოფად, რომ საზოგადოება, რომელსაც გადაადგილების შეზღუდვა აქვთ, ძალადობა გამოვლილი ბავშვებისთვის გააგრძელებენ ბავშვებისთვის მეგობრული, ჰოლისტიკური ზრუნვის მიღებას. • ყურადღება გაამახვილეთ იმ ბავშვებზე, რომელთა სტატუსი მათ უფრო მოწყვლადს ხდით (მაგ. ზრუნვის გარეშე მყოფი ბავშვები; იძულებით გადაადგილებული, ლტოლვილი, მიგრანტი და მოქალაქეობის არმქონე ბავშვები; ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები; შეზღუდული შესაძლებლობები მქონე ბავშვები და ა.შ)
--	--

ბავშვთა დაცვის სტრატეგია: ალტერნატიული ზრუნვა

<ul style="list-style-type: none"> • უნდა მოხდეს ადგილობრივი ჯანდაცვის აქტორების იდენტიფიკაცია და გადამზადება, რათა თავიდან ავიცილოთ ოჯახების დაშორება/განცალკევება და ასევე მათი დახმარებით მოვახდინოთ იმ ბავშვების იდენტიფიკაცია და რეფერირება, რომელიც არიან მშობლების თანხლების გარეშე ან უკვე დაშორებულები არიან ოჯახს. • თემის წევრების გადამზადება COVID-19 – ის აფეთქების შემთხვევაში 	<ul style="list-style-type: none"> • უსაფრთხო, ოჯახზე დაფუძნებული ალტერნატიული ზრუნვის დამკვიდრება (სასურველია ნათესაური ზრუნვა). • დარწმუნდით, რომ ბავშვებს, რომლებიც დაშორებულები არიან თავიანთ მზრუნველებს აქვთ მათთან კომუნიკაციის რეგულარული შესაძლებლობა. • მოერიდეთ იმ ინფორმაციის გავრცელებას, რამაც უნებლიეთ შეიძლება უბიძგოს ოჯახებს ბავშვების
---	---

<p>მშობლების თანხლების გარეშე მყოფ ბავშვთა საკითხების შესახებ.</p> <ul style="list-style-type: none"> გააძლიერეთ სისტემები იმისთვის, რომ მოახდინონ ოჯახის დაშორების/ განცალკევების პრევენცია, ჩაერთონ ოჯახების დაგეგმვასა და გაერთიანებაში; ასევე უზრუნველყონ მშობლების თანხლების გარეშე მყოფ ბავშვებზე ალტერნატიული ზრუნვა. 	<p>მიმართ უყურადღებობისა ან მიტოვებისკენ</p> <ul style="list-style-type: none"> ითანამშრომლეთ შესაბამის უწყებებთან, რომ შექმნათ სარეგისტრაციო სისტემა, გრძელვადიანი დაშორების თავიდან ასაცილებლად და გაერთიანების ხელშემწყობად.
---	--

3. რესურსები

Child Protection Area of Responsibility Child Protection Resource Menu for COVID-19	A collection of child protection resources related to a COVID-19 response
Key messages and actions for coronavirus disease (COVID-19) prevention and control in schools	Operational guidance on protecting children and schools from COVID-19
INEE Resource Page on Novel Coronavirus (COVID-19)	A collection of COVID-19 and education in emergencies resources
IASC MHPSS Reference Group’s Briefing Note about MHPSS Aspects of COVID-19	A briefing note about MHPSS aspects of the 2019 novel coronavirus (COVID-19) outbreak